

## 6. წიგნის სტრუქტურა

ნაშრომი ოთხ წიგნს მოიცავს:

– პირველი წიგნის – მორფოლოგია I-ის შემადგენელი ნაწილებია:

- წინასიტყვაობა, რომელიც გვაცნობს: ნაშრომის თეორიულ პრესუპოზიციებს, მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ამოსავალ პრინციპებს, მიზანსა და დანიშნულებას, ნაშრომის სტრუქტურას, შემსწავლელთა საორიენტაციო ჯგუფს; იძლევა რჩევა-დარიგებებს წიგნით სარგებლობის თაობაზე.
- ლინგვისტური შესავალი, რომელიც მოკლედ მიმოიხილავს გრამატიკის საგანს, მის მიმართებას ენისადმი, როგორც აღსაწერი ობიექტისადმი; განსაზღვრავს გრამატიკის ადგილს ენათმეცნიერულ დისციპლინათა შორის; განმარტავს ენის არსსა და ფუნქციებს, გამოყოფს ენობრივ დონეებს და მათ ძირითად ერთეულებს; იძლევა იმ ამოსავალ ტერმინთა დეფინიციას, რომლებიც ნაშრომის ძირითად სამუშაო ერთეულებს ქმნის; განმარტავს ლინგვისტური კვლევის მეთოდებს, რომელთა გამოყენებითაც სადავო შემთხვევებში ხდება ჭეშმარიტების დადგენა, მსგავს ენობრივ ფორმათა გამიჯვნა, საზოგადოდ, ლინგვისტურ პრობლემათა გადაჭრა; ცალკე გამოყოფს ნაშრომში გამოყენებულ სიმბოლოებს, გერმანულ- და ქართულ-ენოვან შემოკლებებს, ისევე როგორც უცხოურ სიტყვათა წარმოთქმის ნორმებს.
- წიგნის ძირითადი ნაწილი – მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ –, რომელიც გვაცნობს ზმნას, არსებით სახელსა და არტიკლს მათთვის სპეციფიკური ფორმალურ-კატეგორიული, ფუნქციურ-სემანტიკური და სინტაქსური პარამეტრების გათვალისწინებით.

– მეორე წიგნი – მორფოლოგია II – წარმოგვიდგენს დანარჩენ მეტყველების ნაწილებს – ზედსართავ სახელს, რიცხვით სახელს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას, წინდებულს, კავშირს, ნაწილაკს, შორისდებულს – მათი შესატყვისი გრამატიკული პარამეტრების/კატეგორიების გათვალისწინებით.

– მესამე წიგნი – სინტაქსი I – მარტივ წინადადებას ეძღვნება. იგი მიმოიხილავს წინადადების სტრუქტურულ, საკომუნიკაციო და ფორმალურ ტიპებს; აღწერს სიტყვა-ფორმათა ურთიერთშეკავშირების გზებს შესიტყვებათა/სინტაგმათა და წინადადებათა მიღების მიზნით; აღწერს წინადადების წევრებს, მათ განლაგებას/თანმიმდევრობას წინადადების ფარგლებში (წინაველში, შუაველსა და უკანაველში) სინტაქსურ-სტრუქტურული და საკომუნიკაციო-პრაგმატული ასპექტების გათვალისწინებით; წინადადების სტრუქტურულსა და თემა-რემატულ ორგანიზებას; გვაცნობს წინადადების მოდელირების წესებს და წარმოაჩენს გერმანული ენისთვის სპეციფიკურ წინადადების მოდელს; მიმოიხილავს ელიფსური/თავისებური აგებულების წინადადებებს და მათ გამოყენებას სპეციფიკური ფუნქციის ტექსტებში.

– მეოთხე წიგნი – სინტაქსი II – ორი ნაკვეთისგან შედგება, რომელთაგან:

- პირველი – წიგნის ძირითადი ნაწილი – რთულ წინადადებას ეძღვნება. იგი მიმოიხილავს რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების/კომპლექსების პარალელურად ასევე მრავალგზის გართულებულ წინადადებებს – პერიოდებს როგორც სტრუქტურული, ისე ლოგიკურ-სემანტიკური და საკომუნიკაციო

დანიშნულების კუთხით; მსჯელობს დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაციის ზოგად (ფორმალურ / ტოპოლოგიურ / სტრუქტურულ / ლოგიკურ-სემანტიკურ) პრინციპებზე; დაწვრილებით განიხილავს დამოკიდებულ წინადადებათა ყოველ ცალკეულ სინტაქსურ-სემანტიკურ ტიპს (წევრ-წინადადებას, წევრის ნაწილ-წინადადებასა და მირთულს; ვალენტობით შებირობებულსა და ვალენტობისგან დამოუკიდებლად არსებულს, გარემოებითს და ა.შ.).

• მეორე ნაწილს – სამეცნიერო კორპუსს – დანართის სახე აქვს. შესაბამისად იგი მოიცავს:

- ბოლოთქმას, შესრულებულს გერმანულ ენაზე, რომელშიც ნაშრომის ირგვლივ გამოთქმულ საკუთრივ ლინგვისტურ და ლინგვოდიდაქტიკურ მოსაზრებათა პარალელურად მოწოდებულია ინფორმაცია დონორ ორგანიზაციათა შესახებ; ინფორმაციას მეორე, სრულიად გადამუშავებული და გავრცობილი გამოცემის თაობაზე;
- გაერთიანებულ სარჩევს, რომელიც მკითხველს ცალკეულ თემათა/საკითხთა გაშლის დინამიკას წარმოუჩენს და ამდენად ეხმარება კიდევაც, გაერკვეს მთელი ნაშრომის სტრუქტურაში;
- ბიბლიოგრაფიას, რომელიც შესაბამისი თანმიმდევრობით შეიცავს სამეცნიერო წყაროების, ლექსიკონებისა და საილუსტრაციო მასალაში/ნიმუშებში გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს;
- რეგისტრებს: ტერმინთსაძიებლებს, საკუთრივ ქართულ- და გერმანულენოვანი ცნებებისთვის/ტერმინებისთვის და გერმანულ სახელთსაძიებელს, აგებულით ერთდროულად ანბანურისა და თემატური პრინციპების დაცვით, რომლებიც მკითხველს მისთვის აქტუალური მასალის პოვნაში უნდა დაეხმაროს.